საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოგოხია რევაზ აკაკის ძე

რ. გოგოხია

გოგოხია რევაზ აკაკის ძე (დ. 28. IV. 1936, სოფ. ფახულანი, ახლანდ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1988), პროფესორი (1989). 1958 დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ეკონ. ინ-ტში უფრ. მეცნიერ თანამშრომლად, ჟურნ. „ეკონომიკის" განყ-ბის გამგედ, საქართვ. სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ. 1989-იდან იყო თსუ-ის ეკონ. თეორიის კათედრის პროფესორი, აგრეთვე თსუ-ის სოხუმისა (1995–2001) და ზუგდიდის (2001–05) ფილიალების კათედრის გამგე, საერთაშ. სამეცნ.-პრაქტ. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკის" მთ. რედაქტორი (1999–2007). 2008- იდან მისი რედაქტორობით გამოდის თსუ-ის ეკონ. და ბიზნესის ფაკ-ტის საერთაშ. სამეცნ.-პრაქტ. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი". გ-ის სამეცნ. შრომები ეხება ეკონ. თეორიის, საბაზრო ეკონომიკის, აგრ. ურთიერთობებისა და შერეული ეკონ. სისტემის, საქართვ. სოც.-ეკონ. განვითარების პრობლემურ საკითხებს. დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის მედლითა (2001) და ღირსების ორდენით (2003).

ლ. ჩიქავა